

პრეზური

№ 11—12

ზელიფალი მემკვები

1942 წ.

შ ი ნ ა რ ს ი

1. ბრძანება № 5870—ბორჩალოს რაიბიბლიოთეკის მუშაობის გამოკვლევის შეღებების შესახებ	2 83.
2. ბრძანება № 5917—ბოლიტსაგანმანათლებლოდაწესებულებათა მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ	3 "
3. ცირკულარულად — ბოლიტგანდაწესებულებათა მუშაობის შესახებ	6 "
4. ცირკულარულად — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქისა და სახ. განათლების ყველა სარაიონო და საქალაქო განყოფილების და პოლიტსაგანმანათლებლოდაწესებულებათა გამგებს	16 "
5. Приказ № 5917, по Народному Комисариату Просвещения ГССР от 22 ноября 1942 г.	20 "
6. Циркулярно—Наркомпросам Абхазской и Аджарской АССР, Облоно А/О Юго-Осетии, всем заведующим *районными (городскими) отделами народного образования и политико-просветительными учреждениями	23 "

ბ რ ძ ა ნ ი ბ ა № 5870

გ მ ი ნ ა მ ი ლ ე ბ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ი ს კ რ ი ს ა რ ი ს ა რ ი ს ა რ ი ს

1942 წ. 5 დ ე კ ე მ ბ ე რ ი ა

გავეცანი რა ბორჩალოს სარაიონო ბიბლიოთეკის მფლობელობისა და მუშაობის გამოკვლევის მასალებს, აღვნიშნავ, რომ რაიბიბლიოთეკის ყოფილი გამგე ანა პოპოვა და სახალხო განათლების სარაიონო განყოფილების ყოფილი გამგები ამხ. ამხ. ალექსი, კოჯ ავე, მამელოვი და ქერიმოვი უბასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეს.

ბორჩალოს რაიბიბლიოთეკის ყოფილი გამგე ანა პოპოვა მკითხველებზე წიგნის გაცემისას არღვევდა საბიბლიოთეკო ტექნიკის წესებს და არ ღებულობდა ზომებს წიგნის დაბრუნების უზრუნველსაყოფად (ხელშეკრულებების დადება, იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თავდებობა, სადაც მუშაობენ მკითხველები, და ა. შ.), არ მიმართავდა საჭირო ლონისძიებას ვადაგადაცილებული წიგნების დასაბრუნებლად (წიგნის დამგვიანებელთა სიების გამოკვრა, საწლში მიკითხვა, სასამართლოზე გადაცემა და სხვ.), ერთსა და იმავე პირს აძლევდა ორგებ მეტ წიგნს (მაგალითად, 1937 წ. 16/7 კასუმლოს სკოლის მასწავლებელს მაშედოვს მიეცა 8 წიგნი, 1939 წ. 13/5 - მტების თანამშრომელს მამულოვს - 6 წიგნი, მინასოვს, რომელსაც არ დაუბრუნებია უზრუნველყოფითი წიგნები, დამატებით მიეცა კიდევ ერთი წიგნი).

წიგნობრივი ფონდი არ არის დაკომპლექტებული მკითხველთა მოთხოვნილების შესაბამისად. წიგნობრივი ფონდში (7000 წიგნი) არ მოიპოვება სასოფლო-სამეურნეო შინაარსის წიგნები და აგრძოვე სამამულო ომისა და სამხედრო მზადებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა. სამამულო ომის პერიოდში რაიბიბლიოთეკის არ შეუძენია არც ერთი წიგნი.

პოპოვას გამგედ ყოფნის პერიოდში, 4 წლის განმავლობაში, რაიბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი ერთხელაც არ შემოწმებულა. შეძენილ წიგნებზე აქტები. ახლად დანიშნული გამგისათვის ბიბლიოთეკის ჩაბარება და მისი მიღება ხდებოდა არა საინვენტარო წიგნის მიხედვით, არამედ აქტი სდგებოდა წიგნების ფაქტურ რაოდენობაზე. საპატიო მიზეზით დაკარგულ წიგნებზე აქტები არ სდგებოდა და არ ხდებოდა მათი ჩამოწერა.

სახალხო განათლების სარაიონო განყოფილების გამგეს ამხ. მანანოვს არ შეუმოწმებია რაიბიბლიოთეკის მუშაობა, დროულად არ მიულია ზომები წიგნობრივი ფონდის განიველების წინააღმდეგ, ამასთანავე მან ვერ უზრუნველჰყო ბიბლიოთეკა სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლიტერატურით. ამის შედეგად ბორჩალოს რაიბიბლიოთეკაში დაკარგული წიგნების რაოდენობა აღწევს 1313 ცალს, რომლის ლირებულება შეადგენს 4569 მანეთს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბორჩალოს რაიმიბლიოთეკის გამგემ : а) წიგნების გაცემაზე უსტად იხელმძღვანელოს „ბიბლიოთეკურ ტექნიკაში“ გათვალისწინებული წესებით (გამოც. საქ. სსრ განსახულისა, 1939 წ.);
б) მიიღოს საჭირო ზომები მკითხველების მიერ წალებული წიგნების დროზე დასაბრუნებლად, ხოლო წიგნების თავის დროზე დაუბრუნებლობისა და მითვისებისათვის დამნაშავენი მისცეს პასუხისმგებაში (სასამართლოზე გადაცემით). ეს მუშაობა დამთავრდეს 1942 წ. 31 დეკემბრამდე;
გ) მოაწყოს წიგნების დაბრუნების ვადის ყუთი;
დ) მკითხველზე ერთდროულად არ გასცეს ერთ წიგნზე მეტი, ვანსაკუთრებულ შემთხვევაში გასცეს არა უმეტეს ორისა;
ე) მტკიცედ დაიცვას წესი, რომ ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის შემოწმება ხდებოდეს საინვენტარო წიგნის მიხედვით.
2. ბორჩალოს რაიონის განათლების განყოფილების გამგემ:
ა) შეამოწმოს რაიბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნის მდგომარეობა და მოიყვანოს ის წესრიგში;
ბ) რაიბიბლიოთეკის ყოფ. გამგის პოპოვის საქმე გადასცეს სასამართლოს და აღმრას მის წინააღმდეგ ძიება 4569 მანეთზე.
3. მიეთითოს ბორჩალოს რაიონის განათლების განყოფილების ვამგეს რაიბიბლიოთეკის მუშაობის გაჯანსაღებისათვის ზომების მიუღებლობაზე.
4. ყველა რაიონისა და ქალაქის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებმა უმოკლეს ვაღაში შეამოწმონ სარაიონო, საქალაქო, სასოფლო, საბავშვო და საკლუბო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების მდგომარეობა და წიგნების განივების აღმოჩენის შემთხვევაში დამნაშავენი მისცენ პასუხისმგებაში.
5. დაევალოს პოლიტგანმუშაობის სამსართველოს კონტროლი ვაუწიოს ამ ბრძანების შესრულებას და შედეგებზე მომახსენოს მე.

საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისრის

მოადგილე პ. მიზისია

ბრძანება № 5917

განათლების საქალხო კომისარიატისადმი

1942 წ. 22 ნოემბერი

გავეცანი რა აქარის ასსრ განსახულის, სამხრეთ-ოსეთის ავტოლქისა და მახარაძის, გორის, ვანის, წითელწყაროს, ჩხოროწყუს, ონის, წალენჯიხის, თიანეთის, ზემო-სვანეთის, ლუქსემბურგის, ბაშკი-

ჩეთის, ყარაიას რაიონებისა და ქ. ფოთის სახალხო განათლების კულტურული
ფილებათა და პოლიტიკური მასალების დაწესებულებებითა გამოიცვალა,
ვის მასალებს და მოვისმინე რა იღნიშნული რაიონების სახალხო განათ-
ლების განყოფილებათა გამგეებისა და პოლიტიკანისტების მა-
ხარაძის რაიონის სოფ. ასკანის, ყარაიას რაიონის სოფ. ახალი ული-
ანოვების სასოფლო კლუბების, ყარაიას სარაიონო ბიბლიოთეკის გა-
მცეთა შოხსენებები საქ. სსრ განსახუმის ბრძანებებისა და ინსტრუქ-
ციების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნავ, რომ რიგი
რაიონების განათლების განყოფილებებმა და პოლიტიკანიმანათ-
ლებლო დაწესებულებებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს და მნიშვნე-
ლოვნად გარდაქმნეს თავიათი მუშაობა ომის დროის ვითარების
შესაბამისად.

ამასთან ერთად ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების გან-
ყოფილები და პოლიტიკანდაწესებულებები ჯერ კიდევ სუსტად აქტუ-
შოებენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. მაგალითად, ცუდად მუშაო-
ბენ ჩხოროწყუს რაიონის რიგი პოლიტიკანდაწესებულებასი. ჩხოროწყუს
სარაიონო კლუბში იშვიათად ტარდება ლექციები და საუბრები, არ არის
მოწყობილი სამამულო ომისადმი მიძღვნილი გამოყენა, ჩაშლილია
საწრეო მუშაობა და სხვ. ხაბუშეს სას. კლუბში 1-ლ მაისს შემდეგ
არ გაძლიერდების გაზეთი, კლუბის ბიბლიოთეკა არ მოქმედებს.

წალენჯიხის სარაიონო ბიბლიოთეკაში ცუდად არის დაყენე-
ბული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ბიბლიოთეკა არ არის უ-
რუნველყოფილი სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლიტერატურის.
ადგილი აქვს წიგნების დაკარგვისა და თავის დროშე დაუბრუნებ-
ლობის შეთხვევებს.

ჩაშლილია ბაშკიჩთის სარაიონო ბიბლიოთეკის მასობრივი მუ-
შაობა. სრულიად მოუგვარებელია წიგნობრივი ფონდის ლიტერატუ-
რით დაკომპლექტებისა და დაცვის საქმე. ცუდად მუშაობენ იგრ თვე
მულახლოს, შიხდლარის და ზემო-ორზუმანის ქოხ-სამკითხველოები
და კიზილკილისისა და ყარაბულახის სასოფლო კლუბები. რიგი
პოლიტიკანდაწესებულებათა გამგეები შეუფერებელნი არიან თახა-
მდებობისათვის. მაგალითად, ლაბალი განათლება აქვს და არაე-
თარი კვალიფიკაცია არ გააჩნია სარაიონო ბიბლიოთეკის გამგე,
ამა. კუმინის, ხოლო ყარაბულახის სას. კლუბის გამგის თანამდებობა
შეთავსებული აქვს სოფსაბჭოს მდივანს.

ლუქსემბურგის კულტურის სახლში არავითარი ყურადღება არ
ექცევა უოველდლიურ მასობრივ-პოლიტიკურსა და საწრეო მუშაო-
ბას, იგი სრულიად არ ამართლებს თავის დაწინულებას.

თიანეთის სარაიონო კლუბში ჩაშლილია ბოლიტმესობრივი
მუშაობა. კლუბი მომარაგებული არ არის სამამულო ომისადმი მი-
ძღვნილი ლიტერატურით, მოუმზადებელია საზამთრო მუშაობისათ-
ვის. ასევე ცუდი მდგომარეობაა სარაიონო ბიბლიოთეკაში, სიმო-
ნიანთხევისა და ზარიძეების სასოფლო კლებებში და ტუშურების
ქოხ-სამკითხველოში.

გორის საქალაქო ბიბლიოთეკამ ვერ უჩრუნველჰყო არსებულ
ნაკლის აღმოფხვრა და მუშაობის ახლებურად გარდაქმნა, მკითხველი,
თა და პოსპიტლის მომსახურება წიკნით.

სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო განათლების საოლქო
განყოფილების ყურადღების გარეშე აქვს დატოვებული პოლიტგანმუ-
შაობის საკითხები, არა აქვს სამუშაო გეგმა პოლიტგანმუშაობის დარ-
გვი, დღემდე არა ყავს აყვანილი შტატით გათვალისწინებული პოლიტ-
განინსპექტორი, არ აწარმოებს საქ. სსრ განსახკომის დირექტივების
შესრულების შემოწმებას.

პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში არსებული ნაკლი უმთავ-
რესად აიხსნება სახალხო განათლების განყოფილებათა სუსტი, არა-
ოვრატიული ხელმძღვანელობით.

განსაკუთრებით ცუდად ხელმძღვანელობენ და საჭირო დახმა-
რების არ უწევენ პოლიტგანდაწესებულებებს სამხრეთ-ოსეთის
ავტ. ოლქის, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს
რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები, რომ-
ლებიც არ ზრუნავენ ამ დაწესებულებათა შესაფერისი მუშაკებით
უჩრუნველყოფასა და არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლე-
ბაზე, არ ეხმარებიან მათ სამუშაო გეგმების შედგნაში, არ ახ-
დენენ გეგმებისა და მიცემული დირექტივების შესრულების შემოწ-
მებას.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო განათლების საოლქო
განყოფილების გამგე ამხ. ა. კოკოვეს, ლუქსემბურგის, ჩხოროწყუს,
ბაშკიჩეთის, წალენჯიხის რაიონების სახალხო განათლების განყო-
ფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. ხრ. სოფიანილის, გ. პაპასკირს, ე.
ნასიბოვს, ვ. კვარაცხელიას მიეთითოთ იმაზე, რომ ისინი ცუდად ხელ-
მძღვანელობენ და სათანადო დახმარებას არ უწევენ რაიონის პო-
ლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ვაფრთხილებ მათ, რომ თუ ისინი უმოკლეს დროში თავისი ხელ-
მძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებით არ გარდაქმნიან პო-
ლიტგანდაწესებულებათა მუშაობას სამამულო ომის პირობების შე-
საბამისად, მათ ძინართ მიღებული იქნება ძაცრი ზომები.

2. მუშაობის ჩაშლისათვის მოიხსნან სამუშაოდან, როგორც
შეუფერებელნი, ბაშკიჩეთის სარიონო ბიბლიოთეკის განვე ამხ.
ვლ. კუშნირი, გორის საქალაქო ბიბ-კის გამგე ამხ. კ. ტატუნაშვი-
ლი, ლუქსემბურგის სარიონო კულტურის სახლის დირექტორი ამხ.
3. ლოლაძე, თიანეთის სარიონო კულტურის გამგე ა. ხ. მ. კაჯიაშვი-
ლი და ამ ვე კლუბის მასობრივი მუშაკი ამხ. ევა ნასურიშვილი.

დაევალოს განსახუომის კადრების სამშაროველოს ა/შ 1 დეკემბრამდე შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატები ზემოაღნიშნულ მდებობებზე დასანიშნავად.

3. ვავალებ სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამცემს პირადი პ/მგებლობით უზრუნველყონ ბიბ-კის წიგნობრივი ფონდების დაცვა და წესიერი დამუშავება, სამართლში მისცენ ის პირები და ბიბლიოთეკის მუშაკები, რომლებიც დაუშევებენ წიგნების განივების ფაქტებს.

4. წინადადება მიეცეს სახალხო განათლების ყველა სარაიონო და საქალაქო განყოფილებას არ დაუშვან სოფლის პოლიტგანდაწესებულებათა მუშაკების თანამდებობის შეთავსება სოფსაბჭოს და სხვა აღგილობრივი ორგანიზაციების მუშაკებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც სოფლის პოლიტგანდაწესებულების ხელმძღვანელი თავის კულტურული დონით, კვალიფიკაციითა და მუშაობის უნარიანობით არ შეეფერება თავის თანამდებობას, მის ნაცვლად ამ თანამდებობაზე, როგორც წესი, გამოყენებულ იქნას აღგილობრივი სკოლის მოწინავე მასწავლებელი.

განემარტოს სახალხო განათლების განყოფილებათა გამცემს, რომ სოფლის პოლიტგანდაწესებულებები შეთავსებით მომუშავე მასწავლებლები განტვირთული უნდა იქნან საზოგადოებრივი დაცულებებისაგან.

5. ვავალებ ყველა რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებას ეს ბრძანება განიხილონ პოლიტგანმუშავთა რაიონულ თათბირზე აქტივის მონაწილეობით და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საჭ. სსრ განსახუომის მოადგილე პ. კიზირია

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ შანსახოვებს, სამხრეთ-ოსმონის ა/ო ხახალხო განათლების განვითარებისა და უცხოულებელი რაიონის განვითარების აუტომატიზაციისა და კონკრეტული ღონისძიებების განვითარებისათვის

გამგებება

აჭარის ასსრ განსახუომის, სამხრეთ-ოსმეთის ავტ. ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილების, მახარაძის, გორის, ვანის, წოთოელწყაროს, ჩხოროწყუს, ონის, წალენჯიხის, თიანეთის, ზემოსვანეთის, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, ყარაიას რაიონების, ქ ფოთის ხახალხო განათლების განყოფილებათა და პოლიტსაგანმანათლებლო

დაწესებულებათა მუშაობის გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ რიგი ას-
იონების განათლების განყოფილებებმა და პოლიტსაგანმანათლებულების
დაწესებულებებმა მნიშვნელოვნად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა
ომის ღროის ვითარების შესაბამისად.

პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მასობრივ-სააგიტა-
ციო მუშაობის გარდაქმნის მახალითს გვიჩვენებს მახარიძის რაიონი,
ქ. ფოთი და ოქაპუტლიკის ზოგიერთი სხვა რაიონი. მახარიძის რაი-
ონის განათლების განყოფილება (გამგე ამხ. ლ. ჩხაიძე, პოლიტგან-
ინსპექტორი ამხ. გ. გორგოშიძე) ოპერატიულად ხელმძღვანელობს
და შესაფერის მეთოდურ დახმარებას უწევს პოლიტგანდაწესებულე-
ბებს. 1942 წ. იანვრიდან სექტემბრამდე განათლების განყოფილებას
ჩატარებული აქვს პოლიტგანმუშავთა ათი თათბირი და სამი სემი-
ნარი პოლიტგანმუშაობის ორგანიზაციულ და მეთოდურ საკითხებზე.
სისტემატურად სწარმოებს პოლიტგანდაწესებულებათა მდგომარეო-
ბისა და მუშაობის გამოკვლევა, მათთვის პრაქტიკული დახმარების
გაწევა, მიცემული დირექტივების შესრულების შემოწმება. განათ-
ლების განყოფილებას აქვს წლიური, კვარტალური და თვეური გეგ-
მები პოლიტგანმუშაობის დარგში. განყოფილება იხილავს და ამტკი-
ცებს პოლიტგანდაწესებულებათა სამუშაო გეგმებს, ღროულად და-
კვაც განსახკომის დირექტივები და სახელმძღვანელო მასალები თი-
თოეულ პოლიტგანდაწესებულებამდე. პოლიტგანმუშავთა შორის
გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, რაიონს გამოწვეული ყავს
სოკმეჯიბრებაში ლანჩხუთის რაიონი. სისტემატურად ხდება შეჯიბ-
რების მიმდინარეობის შემოწმება.

განათლების განყოფილების ოპერატიული ხელმძღვანელობისა
და პრაქტიკული დახმარების შედეგად რაიონის პოლიტგანდაწესე-
ბულებებში კარგად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუ-
შაობა. მავალითად, ასკანის სასოფლო კლუბის გამგე ამხ. ლ. სირაძე
ენერგიულად ხელმძღვანელობდა კლუბის მრავალფეროვან მუშაობას.
კლუბის წლიური, კვარტალური და თვეური სამუშაო გეგმები ზედ-
მიწევნით ასახავენ სამამულო ომის პერიოდში კლუბის წინაშე მდგომ
ამოცანებს. კლუბში კარგად არის დაყენებული ყოველდღიური პო-
ლიტიკურმაცია, მოწყობილია გამოფენა და ინფორმაციის დაფა,
გაზეთები გამოკრულია ფიტრინებში, სისტემატურად სწარმოებს
რადიოგადაცემათა კოლექტიური მოსმენა და ახსნა-განმარტებითი მუ-
შაობა მოსმენილის გარშემო. თვალსაჩინო ღონისძიებებია ჩატარებუ-
ლი სასოფლო-სამუშაო სამუშაოთა კულტივისობრივი მომსახურების
ხაზით. რაიონის ცენტრიდან მოწვეული და იდგილობრივი ძალებით
იანვრიდან ნოემბრამდე კლუბს ჩატარებული აქვს 60 ლექცია სამა-

მულო ომის თემებზე. კლუბთან არსებობს აგიტპუნქტი, რომლი
მუშაობა სანიმუშოდაა ცნობილი რაიონში. ამა წლის იანვრიდან
ნოემბრამდე აგიტატორთა მიერ ჩატარებულია ბრიგადებში 1187 საუ-
ბარი. სისტემატურად გამოდის კედლის და საველე გაზეთები. კლუბ-
თან არსებობს სამხედრო, თავდაცვითი, აგროტექნიკური, ფიზკულტუ-
რული, სანიტარული, ლიტერატურული და დრამატიული წრეები, რომ-
ლებიც მომარიაგებული არიან სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოებითა
და სახელმძღვანელოებით. კლუბის ინიციატივით შეგროვილია ფრონ-
ტისათვის დიდი რაოდენობით თბილი ტანსაცმელი და საჩუქრები.
თავდაცვის ფონდში ფასიანი საღამოების მოწყობითა და ობლიგა-
ციების შეგროვებით შეტანილია 29.500 მან. კლუბმა თავისი აქტი-
ვისტების მეშვეობით საჭირო დახმარება გაუწია წითელ არმიაში
გაწვეულთა ოჯახებს (შიშის ნაკვეთის დამუშავება, მოსავლის აღება,
შეშით მომარაგება და სხვ.). კარგად არის დაყენებული საცნობო-
საკონსულტაციო მუშაობა. კლუბს გამოწერილი აქვს სათანადო რაო-
დენობით უურნალ გაზეთები, შეძნილი აქვს სამხედრო-თავდაცვითი
და ანტიფაშისტური ლიტერატურა. კლუბს შემოკრებილი ყავს
აქტივი სოფლის ინტელიგენციიდან 83 კაცის რაოდენობით. კარ-
გად მუშაობს კლუბის საბჭო. კლუბში ფართოდ არის გამოყენებული
თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებები (ლოზუნგები, პლაკატები და
სხვ.). ბიუჯეტის ათვისება ნორმალურად მიმდინარეობს. კლუბს
გააჩინა ბიუჯეტს გარეშე შემოსავალი. რაც ხმარდება მის კეთილ-
მოწყობას. სანიმუშოდაა დაყენებული ქონების მოვლა-დაცვის საქმე.
კლუბი მზად არის საზამთრო მუშაობისათვის (შენობის რემონტი,
გათბობა, განათება და სხვ.).

კარგი მუშაობის ნიმუშს იძლევა აგრეთვე ფოთის განათლების
განყოფილება, რომელსაც 1942 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე
ჩატარებული აქვს პოლიტგანმუშავთა 16 მეთოდურა თათბირი პო-
ლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე. განყოფი-
ლება ოპერატიულად ხელმძღვანელობს და პრაქტიკულად ეხმარება
პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. ფოთის პოლიტგანდაწე
სებულებათა შორის თავისი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევიან
ახალსოფლის ქოხ-სამკითხველო (გამგე ამხ. ა. ჭანტურია), საქალაქო
ბიბ-კა (გამგე ამხ. ბურჭულაძე) და სხვ. საქალაქო ბიბლიოთეკის
მკითხველთათვის სისტემატურად ტარდება ლექციები; მოწყობი-
ლია 16 მოძრადი. მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით ბიბ-
ლიოთეკაში ეწყობა გამოფენები, კარგად არის დაყენებული წიგ-
ნობრივი ფონდის დაცვა-დამუშავების საქმე და სხვ.

ამასთან ერთად ზოგიერთი რაიონის რიგი პოლიტგანდაწებულებანი წესებულებანი თავიანთი მუშაობით ჯერ კიდევ ვერ პასუხისმგები, მათ წინაშე დასმულ ამოცანებს. მაგალითად, ცუდი მუშაობის ნიმუშს იძლევიან ჩხოროწყუს რაიონის პოლიტგანდაწებულებანი. ჩხოროწყუს სარაიონო კლუბში ძლიერ სუსტად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. იშვიათად ტარდება ლექციები და საუბრები, არ არის მოწყობილი სამამულო ომისაღმი მიძღვნილი გამოფენა, სრულიად არ ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები, ჩაშლილია საწრეო მუშაობა, არ არის ჩამოყალიბებული საბჭო, არ ყავს შემოქრებილი კულტაქტივი. სარაიონო კლუბი საჭირო დახმარებას არ უწევს რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. ცუდად მუშაობს აგრეთვე ქვედა-ჩხოროწყუს ქოხ-სამყითველო, რომელსაც შესრულებული არ აქვს გეგმით გათვალისწინებული საკითხები, არ სწარმოებს საცნობო-საკონსულტაციო მუშაობა. ასეთივე მდგომარეობაა ლესიჭინეს ქოხ-სამყითხველოში. ქოხ-სამყითხველოს წიგნობრივი ფონდი უდრის 71 ცალს. ქოხ-სამყითხველოს არა აქვს გაგამოწერილი არც ერთი უურნალი, გამოწერილია მხოლოდ გაზ. „კომუნისტი“, ისიც 1 ცალი. ხაბუმეს სას. კლუბში 1-ლ მაისს შემდეგ არ გამოსულა კედლის გაზეთი. ჭალას სას. კლუბს, გარდა ხელფასისა, სანსრები ათვისებული არა აქვს.

წალენჯიხის სარაიონო ბიბლიოთეკა უგეგმოდ მუშაობს. ბიბ-ში ჩაშლილია მასობრივი მუშაობა, არ არის მოწყობილი ლიტერატურის თემატიკური გამოფენები, არ ეწყობა უურნალ-გაზეთების ხმა-შალალი კითხვა და საუბრები წაკითხულის გარშემო. ბიბლიოთეკა არ არის უზრუნველყოფილი სამამულო ომისაღმი მიძღვნილი ლიტერატურით. მიღებული გაზეთების კომპლექტები სათანადოდ არ არის დაცული. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნობრივი ფონდი ბიბ-ლიოთეკურად არ არის დამუშავებული. ადგილი აქვს წიგნების დაკარგვისა და თავის დროზე დაუბრუნებლობის შემთხვევებსაც. ბიბ-ლიოთეკა მოთავსებულია სოფსაბჭოს შენობაში. სოფსაბჭოს ერთი თანამშრომელი მუშაობს სარაიონო ბიბლიოთეკის ოთახში, რაც ხელს უშლის ბიბლიოთეკის ნორმალურ მუშაობას. ასევე ცუდად მუშაობენ წალენჯიხის რაიონის რიგი პოლიტგანდაწებულებანი.

ძლიერ ცუდად მუშაობენ თიანეთის რაიონის პოლიტგანდაწებულებანი. თიანეთის სარაიონო კლუბში ჩაშლილია პოლიტმასობრივი მუშაობა. არ სწარმოებს რაღიოგადაცემათა კოლექტიური მოსმენა, სრულიად უმოქმედოთაა საცნობო-საკონსულტაციო ბიურო. მიმდინარე წელს კედლის გაზეთი გამოცემულია მხოლოდ ოთაზერ. კლუბი მომარავებული არ არის ლიტერატურით. ჩაშლილია

საწრეო მუშაობა. სარაიონო კლუბის შენობა მოუმზადებელია ზამთრის პერიოდისათვის, ის საჭიროებს რემონტს, სახურავიდან წყლის ჩამოდის, ფანჯრებში მინები არ არის ჩასმული. ასევე ცუდი მდგომარეობაა სარაიონო ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკას არ გააჩნია წლიური და კვარტალური გეგმები, არ არის მომარავებული სამხედრო-თავდაცვითი და ანტიფაშისტური ლიტერატურით. მკითხველთა შორის არ სწარმოებს მასობრივი მუშაობა, არ არის მოწყობილი მოძრავები. ბიბლიოთეკას აუთვისებელი აქვს ბიუჯეტით გათვალისწინებელი თანხა. ადგილი აქვს წიგნობრივი ფონდის განივების შემთხვევებს. ანალოგიური მდგომარეობაა რაიონის ზოგიერთ პოლიტგანდაწესებულებაში (სიმონიანთხევის, ხევსოფლის, საყარაულოს და ზარიძეების სას. კლუბები, ტუშურების ქოხ-სამკითხველო და სხვ.). პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის შეუფასებლობის შედეგად რაიონში ადგილი აქვს პოლიტგანდაწესებულებათა შევიწროებას. მაგალითად, ხევსოფლის სასოფლო კლუბი მინის უქონლობის გამო მოთავსებულია ადგილობრივი სკოლის სამასწავლებლო ოთახში, ხოლო სასოფლო კლუბის შენობა დაკავებული აქვს წყალთა მეურნეობის კანტორასა და საექიმო ბუნქტს.

სუსტი მუშაობის ნიმუშს იძლევიან აგრეთვე ზემო-სვანეთის რიგი პოლიტგანდაწესებულებანი. მიმდინარე წლის აგვისტოდან შენობის უქონლობის გამო შეჩერებულია სარაიონო კლუბის მუშაობა. ძლიერ სუსტად არის დაყენებული პოლიტმასობრივი მუშაობა ლატალისა და მულახის ქოხ-სამკითხველოებსა და ლენჯერისა და იუარის სასოფლო კლუბებში. რაიონის ზოგიერთ პოლიტგანდაწესებულებას მიმდინარე წლის სექტემბრიმდე დახარჯული არ ჰქონდა არც ერთი კაპიკი წიგნებისა და უზრნალ-გაზეთების შესაძენად. კერძოდ, მულახის ქოხ-სამკითხველოს გამგეს ამხ. ნავერიანს თავის ხარჯზე გამოუწერია ადგილობრივი რაიონული გაზეთი „ახალი სვანეთი“. საკლუბო დაწესებულებებში სრულიად არ არის გამოწერილი უზრნალ-გაზეთები რუსულ ენაზე. რიგი პოლიტგანდაწესებულებები არ არიან უზრუნველყოფილი სათანადო მომზადებული კადრებით, პოლიტგანდაწესებულებების ხელმძღვანელთა თანამდებობაზე შეთავსებით არ არიან გამოყენებული ადგილობრივი სკოლის მოწინავე მასწავლებლები.

წითელწყაროს რაიონის ზოგიერთ პოლიტგანდაწესებულებას სამუშაო გეგმა არა აქვს. განათლების განყოფილება პოლიტგანდაწესებულებათა სამუშაო გეგმებს არ იხილავს და არ ამტკიცებს.

ბაშკიჩეთის სარაიონო ბიბლიოთეკაში არ ეწყობა ლიტერატურის თემატიკური გამოუწენები, არ სდგება სარეკომენდაციო

შიები, არ არის მოწყობილი მოძრადები, დაუმუშავებელი და-
აღურიცხველია წიგნობრივი ფონდი, არ აქვს გამოწერილი უკუნტალ-
გაზეთები, ცუდი მუშაობის ნიმუშს იძლევიან აგრეთვე რაიონის რიგი
პოლიტგანდაწესებულებანი, რომლებიც საჭირო ინიციატივასა და
აქტივობას არ იჩენენ სოფლად წარმოებულ მასობრივ-თავდაცვითი
ლონისძიებათა გატარებაში, იშვიათად აწარმოებენ პოლიტინფორმა-
ციას, ლექცია-საუბრებს, არ აწყობენ ლიტერატურის გამოფენებს,
კითხვა-პასუხის საღამოებს, მივიწყებული აქვთ აგროზონოტექ-
პროპაგანდის საქმე.

მიუხედავად ყველა ხელშემწყობი პირობისა, ლუქსემბურგის
კულტურის სახლში არავითარი მასობრივი და საწრეო მუშაობა არ
სწარმოებს. ძლიერ სუსტად მუშაობენ ბოლნის-კაპანახინის და რა-
ტევანის სას. კლუბები, არუხლოსა და იმირახსანის ქოხ-სამკითხვე-
ლოები. არც ბაშკირთის და არც ლუქსემბურგის რაიონების პო-
ლიტგანდაწესებულებათა დიდ უმრავლესობას არ უწარმოებია სა-
მზადისი საზამთრო მუშაობისათვის, არ არიან მომარაჯებული სა-
თბობით და სხვ. ასევე მოუმზადებელი ხედებიან ზამთრის პერიოდს
ყარაიას რაიონის რიგი პოლიტგანდაწესებულებები.

სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილე-
ბა არ ხელმძღვანელობს და არ ეხმარება ოლქის სარაიონო სახალხო გა-
ნათლების განყოფილებებს პოლიტგანდაწესებულებათა დარგში, რითაც უნდა
აიხსნას სარაიონო სახალხო განათლების განყოფილებათა სუსტი და
არა ოპერატიული ხელმძღვანელობა პოლიტგანდაწესებულებათა მი-
მართ. ამის შედეგად ოლქის რიგი პოლიტსაგანმანათლებლო და-
წესებულებანი ცუდად მუშაობენ და მათი მდგომარეობა არ უპა-
სუხებს სადღეისო მოთხოვნებს.

ონის რაიონის კულტურის სახლი მოთავსებულია მისთვის შე-
უფერებელ ბინაში. კულტურის სახლში სუსტად სწარმოებს მასო-
ბრივ-პოლიტიკური მუშაობა, არა აქვს მიღებული წიგნების შესა-
ძენი სახსრები. აუთვისებელი აქვთ ბაუჯეტი აგრეთვე შეუბნის ქოხ-
სამკითხველოს, სორის სას. კლუბს და სხვ.

ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ გორის რაიონის რიგი პოლიტ-
განდაწესებულებანი. ხელთუბნის ქოხ-სამკითხველოში იშვიათად სწარ-
მოებს გაზეთის ხმამაღალი კითხვა, არ მოიპოვება თვალსაჩინო აგი-
ტაციის საშუალებანი (პლაკატები, ლოზუნგები). სახსრები აუთვისე-
ბელი აქვს მეჯვრისხევის სას. კლუბს, რომელსაც 1942 წლის სექ-
ტემბრისათვის სოფსაბჭოდან არავითარი თახსა წიგნების შესაძენად
და სხვა აუკილებელი საჭიროებისათვის მიღებული არ ჰქონდა. სოფ-
საბჭომ კლუბს არ მისცა კლუბის მიერ გამართული საღამო-წარმო-



დგენიდან შემოსული თანხა. კორის საქალაქო ბიბლიოთეკას არ გა-
აჩნია წლიური და კვარტალური გეგმები. ა. წ. აგვისტოს შექმნებულ
ბიბლიოთეკაში არ ჩატარებულა არც ერთი ლექცია, არ არის მოწყო-
ბილი ლიტერატურას თემატიკურა გამოფენები, არალეგულაზულად
გამოდის კედლის გაზეთი, არ სწარმოებს საცნობო-საბიბლიოგრა-
ფიო და საკონსულტაციო მუშაობა, არ არის შედგენილი მნიშვნე-
ლოვან თარიღებთან დაკავშირებით ლიტერატურის სარეკომენდა-
ციო სიები. ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება არც ერთი ლოზუნგი და
პლაკატი. მოუწესრიცებელია ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი,
არადამაკმაყოფილებელია საინვენტარო წიგნებისა და კატალოგების
მდგომარეობა.

სუსტად მუშაობენ აგრეთვე ქობულეთის (სარაიონო კულტუ-
რის სახლი, კვირიკეს სას. კლუბი), ვანის (სარ. კულტურის სახლი,
ამაღლების ქახ-სამყითხველო), ცხავიას (თექლათის და ნოსირის
სას. კლუბები) და ზოგიერთი სხვა რაიონის რიგი პოლიტსაგანმანათ-
ლებლო დაწესებულებები.

საჭიროა ალინიშნოს, რომ პოლიტსაგანმანათლებლო მუშა-
ობაში არსებული ნაკლი და ხარვეზები უმთავრესად გამოწვეულია
სახალხო განათლების განყოფილებათა სუსტი, არაოპერატიული
ხელმძღვანელობით.

აյ აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის საჭიროა

1. აქარის ასსრ განსახკომმა, სამსახურთ-ოსეთის ავტ. ოლქის სახალ-
ხო განათლების საოლქო განყოფილების გამგემ, წალენჯიხის, ჩხორი-
წყუს, წითელწყაროს, თიანეთის, ონის, ვანის, ზემო-სვანეთის, გორის,
ლუქსემბურგის, ბაშიერის, ყარაის რაიონების სახალხო განათლების
განყოფილებათა გამგეებმა უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყონ პო-
ლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გარდაქმნა სა-
მამულო ომის ამოცანების შესაბამისად და გადაჭრით მიაღწიონ
იშას, რომ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა:

ა) კედევ უფრო გამახვილონ ყურადღება სამამულო ობის
ამოცანების პროპაგანდაზე, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ პო-
ლიტიკური ინფორმაცია, უურნალ-გაზეთების, პოლიტიკური და შხა-
ტვრული ლიტერატურის ხმამაღლი კითხვა, საუბრები, კითხვა-პა-
სუხის სალამოები, ლექციები, საცნობო-საკონსულტაციო და შხა-
ტვრული თვითძომებების წრეების მუშაობა, რადიოგადაცემათა
კოლექტიური მოსმენა, სახხედრო-თავდაცვითი და ანტიფაშისტური
ფილმების ჩვენება, კედლის და საველე გაზეთები, „საბრძოლო
ფურცლები“, გამოფენები და სხვ.

ბ) გაშალონ ახსნა-განმარტებითი, სააგიტაციო-პროპაგანდურ-ტული მუშაობა ამხანაგ სტალინის მიერ დიდი ოქტომბრის სკოდისტური რევოლუციის XXV წლისთავთან დაკავშირებით გამჭვიდვული ისტორიული მოხსენების გარშემო, დარაზმონ მასები ბელა-დის მიერ ამ მოხსენებაში დასმულ ამოცანათა წარმატებით გადა-კრისათვის;

გ) სამამულო ომის ამოცანების პროპაგანდასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სსრ კავშირის ხალხთა სტალინური შეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ქართველი ხალ-ხის ისტორიული წარსულის, მასების ინტერნაციონალური აღზრდის, ეკონომისის რეემისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების საკითხების გაშუქებას;

დ) უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ საწარმოო, აგრო-ზომტექნიკური პროპაგანდა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი კოლ-მეურნეობებში ქალთა შრომის მასობრივად დანერგვას; ქალთა მიერ შაბაკაცთა პროფესიების დაუფლებას, ზურგის საწარმოო შრომითი აღმაცელობას;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამხედრო-თავ-დაცვითი საკითხების პროპაგანდას, ჩამოაყალიბონ სამხედრო-ფიზ-კულტურული წრეები, შექმნან სამხედრო პროპაგანდის კუთხე, ჩა-ატარონ მასობრივი გასამხედროებული ლონისძიებანი, თავდაცვის ფონდისათვის სახსრების შეგროვება, გააძლიერონ მუშაობა ფრონ-ტისათვის საჩუქრების შეგროვებისა და წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახებისადმი დახმარების გაშევის საქმეში;

ვ) უზრუნველჰყონ რეგულარულად გამოცემა კედლის გაზეთებისა, რომლებშიაც კონკრეტული ფაქტების საშუალებით სისტემა-ტურად უნდა შექდებოდეს სამამულო ომთან დაკავშირებული პო-ლიტიკური და სამეურნეო ამოცანები, თავსდებოდეს საბჭოთა პა-ტრიოტიზმის, ბრძოლისა და შრომის გამაშუქებელი კორესპონდენ-ციები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საველე გაზეთების, „საბრძოლო ფურცლებისა“ და ბიულეტენების რეგულარულად გა-მოშევებას;

ზ) ფართოდ გაშალონ სანიტარულ-ჰიგიენური პროპაგანდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეთა შორის სა-ნიტარული კულტურის დანერგვას, სისუფთავისა და წესრიგის და-ცვას პოლიტგანდაწესებულებებსა და მათს ეზოებში, აკრეთვე კოლ-მეურნეთა ეზოებსა და ბინებში; ამ მუშაობაში აქტიურად იქნას გა-მოყენებული მასობრივი აგიტაცია-პროპაგანდის ყველა ფორმა (ლექ-ციები, საუბრები, შესაფერისი ლიტერატურის ხმამალი კითხვა და სხ.);

თ) კიდევ უფრო გააძლიერონ საცნობო-საკონსულტაციო მუშაობა, რომელშიაც აქტიურად ჩააბაზ სოფლის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები, მოამარავონ საცნობო ბიუროები სათანადო ლიტერატურით, უზრუნველყონ კონსულტაციებისა და კითხვა-პასუხის სალამოების რეგულარულად ჩატარება, შესაფერისი საცნობარო მომსახურება გაუწიონ წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახის წევრებს, ამომწურავი და პოლიტიკურად გამართული პასუხი გასცენ კოლმეურნეების შეკითხვებზე;

ი) ფართოდ დარაზმონ თავის გარშემო კულტაქტივი, გასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, მოწინავე კოლმეურნეები და ჩააბაზ ისინი ყოველდღიურ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ლექტორების, მოსაუბრების, მხატვრული თვითმოქმედების ხელმძღვანელთა სახით.

2. სახალხო განათლების განყოფილებებმა უზრუნველყონ მასობრივ და საკლუბო დაწესებულებებთან არსებული ბიბლიოთეკების დაკომპლექტება შიმდინარე პოლიტიკური, სამხედრო-თავდაცვითი, სასოფლო-სამეურნეო და მხატვრული ლიტერატურით, კიდევ უფრო გაიშალოს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა, მოეწყოს სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენები, პერიოდულად განახლდეს სარეკომენდაციო სიები, გაძლიერდეს წიგნის პროპაგანდა მშრომელთა შორის, მიღებულ იქნას ყველა საჭირო ლონისძიება წიგნობრივი ფონდების დაცვისა და წესიერი დამუშავებისათვის.

სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები დაუკავშირდნენ რაიონის პარტიულ ორგანიზაციებსა და „სოიუზეჩატი“-ს ადგილობრივ განყოფილებებს, რომ უზრნალ-გაზეთებზე ლიმიტების განაწილების დროს ყველა პოლიტგანდაწესებულებისათვის, როგორც მინიმუმი, გამოიყოს: ა) სარაიონო და საქალაქო ბიბლიოთეკისათვის თითო ცალი „პრავდა“, „იზვესტია“, „კომსომოლსკაია პრავდა“, „პიონერსკაია პრავდა“, „სოციალისტიკესკოე ზემლედელიე“, „უჩი-ტელსკაია გაზეტა“, „ლიტერატურული საქართველო“ ოთხ-ოთხი ცალი „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტი“, ოთხ-ოთხი ცალი ადგილობრივი სარაიონო გაზეთი, ავრეთვე 1—2 ცალი უზრნალებისა „ლეტოპის გეროვე ოტეჩესტვენო ვოინი“, „სპუტნიკ აგიტატორა“, „პროპაგანდისტი“ „პოლიტპროცეცეტრაბორტა“, „პარტსტროიტელ-სტეკო“ „ბლოკნოტ აგიტატორა“, „ბოლშევიკი“ (ქართული და რუსული), „მნათობი“, „ოგანიოვი“, „სოციალისტიკესკოე სელსკოე ხოზიასტევი“, „რაბოტნიკა“, „ზაობორონუ“, „ზნამია“, „ვედომოსტი ვერხოვნოვი სოვეტი სსრ“, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-

ზიდიუმის უწყებები”; ბ) ქოხ-სამკითხველოებისა და სასოფლო გამოყენებისათვის გამოიყოს სამ-სამი ცალი „კომუნისტი“, ორ-ორი ცალი „ზარია ვოსტოკა“ და ხუთ-ხუთი ცალი აღგილობრივი გაზეთი ქართული რაიონებისათვის, ორ-ორი ცალი „კომუნისტი“ და სამ-სამი ცალი „ზარია ვოსტოკა“, ხუთ-ხუთი ცალი აღგილობრივი გაზეთი და ერთი-ორი ცალი „სოვეტიქ ვრასტან“ და „სოვეტ გურჯისტან“ არაქართული რაიონებისათვის, აგრეთვე თითო ცალი ეურნალებისა: „ბოლშევიკი“ (ქართ., რუს.), „მნათობი“ „ნიაზი“, „სპუტნიკ აგიტატორა“. „სოკიალისტიჩესკოე სელსკოე ხოზიაისტვო“, „პოლიტ-პროსვეტრაბოტა“, „კრესტიანკა“.

კულტურის სახლებისა, სარაიონო კლუბებისა და სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის გამოიყოს ცენტრალური, რესპუბლიკური და აღგილობრივი გაზეთები, აგრეთვე ეურნალები საჭირო რაოდენობით.

შენიშვნა: ადგილობრივი პირობების მიხედვით პოლიტგანდაწესებულებათათვის გამოწერილ უნდა იქნას დასახელებული უურნალ-გაზეთების მეტი რაოდენობა და აგრეთვე სხვა, დამატებითი სახელწოდების უურნალ-გაზეთები.

3. სახალხო განათლების განყოფილებებში მიიღონ გადამჭრელი ზომები პოლიტგანდაწესებულებათა შენობებიდან გამოსახლების, მათი შევიწროების ფაქტების წინააღმდეგ. ამასთანავე უზრუნველპირონ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებები საზამთრო მუშაობისათვის (შენობების შეკეთება, მათი საჭირო რაოდენობის სათბობით, განათებით მომარავება და სხ.), ამ მუშაობის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნას როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებული, ისე ბიუჯეტს გარეშე შემოსავალი, აგრეთვე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა. მიიღონ აუცილებელი ზომები პოლიტგანდაწესებულებათა ქონების დაცვისა და მოვლის უზრუნველსაყოფად.

4. ყველა რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ ეს ინსტრუქცია განიხილოს პოლიტგანმუშავთა რაიონულ თაობირზე აქტივის მონაწილეობით.

საქართველოს სსრ განათლების სახ. კომისრიის
მოადგილე ბ. ბიჭირია

პოლიტგანმიზუშაობის სამმართვ. უფროსი
ა. გაბისონია

აუცხაზოთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსმონის ავტ. ოლქის სახალხო განათლებისა და უცხლა სარაიონო და საჭალაქო განოფილებისა და პოლიტ-საგანგანათლებლო დაწევებულებათა გამგებს

წელიწადზე მეტია სწარმოებს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. ჩვენი სახელოვანი წითელი არმია, დიდი ბელადისა და მხედართმთავრის — იმხანაგ სტალინის მეთაურობით, მძლავრსა და გამანადგურებელ წინააღმდეგობას უწევს გერმანელ ფაშისტთა ყაჩალურ ურდოებს. დღითიდლე იზრდება ჩვენი ძალები, რადგან ჩვენ გვაქვს ულეველი რეზერვები, რადგან დიდი და ურყევია საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი, უსახლვროა ჩვენი წითელი არმიის, ჩვენი ფლოტის, მთელი საბჭოთა ხალხის სიმამაცე და ოვდადება როგორც ფრონტზე, ისე ზურგში.

საბჭოთა ხალხი ცხოვრობს დღეს ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით — ყოველმხრივად დაეხმაროს ჩვენს მამაც წითელ არმიას გერმანელ ფაშისტთა ბრძოების განადგურებაში, საბჭოთა ზურგის განმტკიცებაში. მთელი ჩვენი საქმიანობა გარდაიქმნა საომარ ყაიდაზე, მთელი ჩვენი მუშაობა დაუმორჩილდა ფრონტის ინტერესებს, მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს.

დიდი სამამულო ომის პირობებში განსაკუთრებით დიდია პოლიტიკურ-საგანმათლებლო მუშაობის როლი და მნიშვნელობა. პოლიტისაგანმანათლებლო დაწესებულებანი სოფლად წარმოადგენენ მასობრივ-კულტურული მუშაობის კერებს. დღეს მათ კიდევ უფრო * ფართოდ უნდა გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშრომელთა შორის, განუმარტონ სოფლის მშრომელებს სამამულო ომის მნიშვნელობა და ამოცანები. პოლიტისაგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დარაზმონ კოლმეურნეთი მასები საწარმოო გეგმების მაღალ-ხარისხოვნად შესრულებისათვის, ფართოდ გაშალონ სამხედრო-თავ-დაცვითი მუშაობა, ხელი შეუწყონ მოსახლეობის მიერ საპატიო-ქი-მიური და სახანძრო თავდაცვის წესების შესწავლას, ახალი რეზერვე-ბის მომზადების საქმეს.

ზამთრის პერიოდი ხელსაყრელ დროს წარმოადგენს მოსახლეობაში ფართო საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაშლელად. იგი რაც შეიძლება, ნაყოფიერად უნდა იქნას გამოყენებული

შურომელთა შორის პოლიტიკური დონისძიებათა გასატარებლივ
ამისათვის საჭიროა, რომ პოლიტიკურმანათლებლო დაწესებულებანი
მომზადებულნი შეხვდნენ ზამთრის პერიოდს და გამოიყენონ უცელე
საშუალება მუშაობის შესაფერისად გაშლისათვის.

საზამთრო მუშაობისათვის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად სა-
ჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ადგილობრივი საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების,
სოფლის მოწინავე ადამიანების მონაწილეობით შესდგეს საზამთრო
მუშაობის ზუსტი და ყოველმხრივად მოფიქრებული გეგმა. გეგმა გან-
ხილულ იქნას საკლუბო საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებული სა-
ხალხო განათლების განყოფილების მიერ. უზრუნველყოფილ იქნას
საზამთრო სამუშაოთა სამზადისის წარმატებით ჩატარებაში სოფლის
საპუოთა, პარტიული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგა-
ნიზაციების, კოლმეურნეობების მონაწილეობა.

